

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს "ნეოპრინტი"

ქ.თბილისი

2023 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია-----3გვ

ფინანსური მდგომარეობა -----4გვ

საქმიანობის შედეგები -----5გვ

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები-----7გვ

1.ზოგადი ინფორმაცია

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „ნეოპრინტი“ (ს.კ. 204963762) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. სარეგისტრაციო ნომერი 5/4-2875 07.06.2001წ. იურიდიული მისამართი ქ.თბილისი ყაზბეგის 44 ა, ფაქტობრივი მისამართი: წეროვანი. საზოგადოების მფლობელები არიან:

1. არჩილ თვარაძე (პ/ნ 01030004692) 37,5%
2. გიორგი ნაკაიძე (პ/ნ 01024007127) 37,5%
3. გია გუმბერიძე (პ/ნ 01024009049) 25%

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქაღალდის წარმოება და რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ ისე უცხოეთის ბაზარზე.

საზოგადოების დირექტორია ნათია ჯინჭარაძე

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	325619	141409	3781
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	635906	178924	29866
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	30582	0	0
მარაგები	381280	369152	199919
შზა პროდუქცია	195324	118792	95627
სხვა	185956	250360	104292
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7296	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გულვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	5324	5324	0
ძირითადი საშუალებები	971070	872644	611182
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2357077	1567453	844748
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	238413	137650	110297
ანარიცხები	277612	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	38321	26930
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	20608
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1634328	1312795	1336623
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	2150353	1488766	1494458
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	152000	152000	152000
ააემისიო შემოსავალი	0	0	0

გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	54724	-73313	-801710
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	206724	78687	-649710
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2357077	1567453	844748
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	6829275	4980812
საქონლის გაყიდვიდან	6823742	4937447
მომსახურების გაწევიდან	2640	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	2893	43365
გაყიდვების თვითღირებულება	-4719976	-2995597
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2109299	1985215
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-756045	-622334
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-77580	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-180422	0
იჯარის ხარჯი	-19564	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-607279	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-1640890	-622334
საოპერაციო მოგება	468409	1362881
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-60052	0

სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-175005	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-634484
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	233352	728397
მოგების გადასახადის ხარჯი	-26628	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	206724	728397
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	206724	728397
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	78687	-649710
ახალი აქციების გამოშვება (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-78687	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	206724	78687

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

მომზადების საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

სააღრიცხვო პოლოტიკის ძირითადი პრინციპები

საზოგადოების მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ხდება მესამედ.კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით. კომპანიაში ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „ორისში“.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრისათვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,7020 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2,8844 (2021 წლის 31 დეკემბრისათვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3,0976 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3,5040. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში, უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

საზოგადოებამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე.

საზოგადოებას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საზოგადოებას აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში საოპერაციო იჯარად. საზოგადოებას საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საზოგადოებას იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს

მათი შესყიდვის ფასს. შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითად საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით) რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ძირითად საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- . შენობები -ნაგებობები 10-25 წელი
- . მანქანა-დანადგარები 10-30 წელი
- .ოფისის აღჭურვილობა 5-10 წელი
- .ავეჯი და სხვა ინვენტარი 10-20 წელი
- . ავტომანქანები 10 წელი

ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისათვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხდება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე (წრფივი მეთოდით) მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

არამატერიალური აქტივები 7-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო განაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

არაფინანსური აქტივები

ანგარიშების თარიღისათვის საზოგადოება აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები, ასეთის შემთხვევაში საზოგადოება განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას.

გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საზოგადოებას მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

კაპიტალი

საზოგადოებას საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლლებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საზოგადოებას დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საზოგადოებას საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება როგორც საზოგადოებაში დამფუძნებლის შენატანი, სამართლიანი ღირებულების შენატანის განხორციელების მომენტში, საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განხორციელებულა.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებს/ვალდებულებებს და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება, რადგან კონტროლის გადაცემა ხდება ტრანზაქციის დღეს. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

ფინანსური ხარჯი

ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებაში გარანტორს პირადი ქონების უზრუნველყოფით წარმოადგენს საზოგადოება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადის გაანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლებით საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდში მოგების განაწილების დროს, სრულად განაწილების შემთხვევაში.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას. ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“.

დივიდენდის განწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში, როგორც წესი დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება. 2022 წელს გაცემულია დივიდენდი და შესაბამისად გადახდილია მოგების გადასახადი.

საკუთარი კაპიტალის ცლილებების ანგარიშგება 2022 წელი

საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	78687
პერიოდის მოგება/ზარალი	233352
გამოცხადებული დივიდენდი	105315
სულ საკუთარი კაპიტალი	206724

მიღებული
სესხები

ორგანიზაცია	სესხის თანხა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2022	01.01.2022
სს თიბისი ბანკი	440000	30.11.2021	02.08.2022	6.50	დოლარი	0.00	440000
სს საქბანკი	416000	27.07.2022	10.01.2029	11.44	დოლარი	399215.96	
სს საქბანკი	50000	27.07.2022	05.01.2024	6.00	დოლარი	8010.00	
სს საქბანკი	31000	27.07.2022	10.08.2026	11.44	დოლარი	28774.38	
სს საქბანკი	420000	22.12.2022	15.12.2027	10.00	ლარი	420000.00	

სასაქონლო-მატერიალური მარაგი

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
მზა პროდუქცია	195324	118791
ნედლეული და სახარჯი მასალა	185956	250361
სულ:	381280	369152

ძირითადი საშვალელები

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
მიწის ნაკვეთი	10000	10000
შენობები	359566	337173
მანქანა-დანადგარები	536973	493458
ოფისის აღჭურვილობა	4014	4516
სატრანსპორტო საშვალელები	60517	27497
	971070	872644

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2022 წელი 2021 წელი

დამხმარე მასალები	106739	51440
რემონტი	87216	41978
საოფისე ინვენტარი	37444	25724
კომუნიკაციის	3868	2400
დაზღვევა	2018	1073
საწვავი	19468	46724
საგადასახადო ხარჯი	12835	25252
საპროცენტო ხარჯი		19025
იჯარა		14576
კვება მუშების		38951
სამუშაო	66187	
სხვა და სხვა მომსახურება	179418	145860
ტრანსპორტირების		82136
ტრანსპორტის შენახვის		14190
აქტივთ ჩამოწები	92086	23107
ცვეთა და ამორტიზაცია		67107
საკურსო სხვაობა		34941
	607279	634484

რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, საზოგადოება დგას შემდეგი რისკების წინაშე:

უცხოური ვალუტის კურსის , საპროცენტო განაკვეთის ზეგავლენის და საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დაუცველობის .

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებენ მისი მფლობელები.



6.50

ნათია ჯინჭარაძე

7.90